

საქართველო

გამოცემის 48-ე წელი ფასი 20 კპპ.



წესრიგის დირიჟორი



— გილოცავთ მილიციის 50 წლისთავს!

შეხვედრა დეტექტივთან

ვლასი სულმოუთქმელად შეივარდა ტროლეიბუსში და ადგილი დაიკავა. „მაშ ასე, — დაიწყო ფიქრი ვლასიმ, — ნარკვევი მილიციის რომელიმე თანამშრომელზე. მე მგონი, უნდა ვნახო ისეთი მილიციელი, რომელიც უკვე ოცი წელი, ან უფრო მეტი ხანია, რაც ორგანოში მუშაობს, დიდი გამოცდილება აქვს. კარგი იქნება, თუ რაიმე საინტერესო საქმეს აწარმოებს ან უკვე დაამთავრა გამოძიება... როგორ მიყვარს ტროლეიბუსში ფანჯარასთან ჯდომა, ჩემი მეზობლისათვის კი, როგორც ეტყობა, სულ ერთია, გარეთ არც კი იყურება. რა მოხდება, რომ ვთხოვო... არა, უხერხულია!...“

— მეგობარო! — მიმართა ვლასის გვერდით მჯდომმა შუახნის კაცმა, — იქნებ გეჩიოთ და ფანჯარასთან გადმოჯდეთ?

— თუ არ შეწყუბუნდები, მაღლობელი ვიქნები, — თავაზიანად მიმართა ვლასიმ და ფანჯარასთან გადაინაცვლა.

„მაშ, ასე, — გააგრძელა ფიქრი ვლასიმ, — თუ ჰონორარი დღეს არ იქნა, მე დამრჩა 30 კაპიკი, ოთხი კაპიკი აქედან, ოთხი კაპიკი სამსახურამდე, ოთხი კაპიკი სამსახურიდან სახლამდე და თვრამეტი კაპიკი სიგარეტი „დაისი“, სულ 30 კაპიკი, მაგრამ კონდუქტორმა რომ კაპიკი არ დამიბრუნოს? ვიცი, არ მომცემს, არადა, ამხელა კაცმა როგორ ვუთხრა, მომეცი-მეთქი! ის თავიდანვე დაიზღვევს თავს და მეტყვის: მოქალაქე, კაპიკი ხურდა არა მაქვს და მოითმინეთ ცოტათ. მერე მე ჩავალ და ან ფეხით უნდა წავიდე სამსახურამდე, ან სიგარეტი არ უნდა ვიყიდო. რა იქნება ახლა ამ ათკაპიკიანის ნაცვლად ათი ცალი კაპიკიანი ან სამი სამკაპიკიანი და ერთი ერთკაპიკიანი მქონდეს?!...“

— მეგობარო! — მიმართა ვლასის გვერდით მჯდომმა შუახნის მამაკაცმა, — მე ათკაპიკიანი მჭირდება, თქვენთვის კი სულ ერთია, მაინც ბილეთი უნდა აიღოთ. ა, ეს სამი სამკაპიკიანი და ერთი კაპიკიანი, თქვენ კი ათკაპიკიანი მომეცით, შავმა ფულებმა ჯიბე დამიხია!

— სიამოვნებით! — გაუხარდა ვლასის.

ტროლეიბუსმა ახალი მშენებლობის რაიონისაკენ აიღო გეზი. ვლასი დიდი ხანია, აქეთ არ ყოფილა. „ეს მრავალი შენობა რა უნდა იყოს? ცირკი არ არის, რადგან გვაქვს, სპორტის სასახლე არ არის, ისიც გვაქვს, ამხელა შენობა შენდება და მე კი არ ვიცი, ვაი, სირცხვილო!...“

— რას იტყვით, მეგობარო! ეს კულტურის

სასახლე მალე დამთავრდება? — შეიკითხა ვლასის გვერდით მჯდომი მამაკაცი.

— მშენებლობის ტემპებს გააჩნია, — უპასუხა ვლასიმ და თან გაიფიქრა, ეს კულტურის სასახლე ყოფილა.

გაჩერებაზე ახალგაზრდა, ზორბა ტანის მილიციელი ამოვიდა ტროლეიბუსში. „ახლა ეს ახალგაზრდა რიგითი მილიციელია, მაგრამ რა უნდა დაწეროს კაცმა მაგაზე? რა პრაქტიკა უნდა ჰქონდეს? არც მკითხველს მოეწონება და, რაც მთავარია, არც მთავარ რედაქტორს. აჰ, არა, ასეთი არ გამომადგება. ჯობია ისევ გამოცდილი და ხანშესული ოპერატიული მუშაი შევარჩიო.“

— ტყუილად ფიქრობთ მასე, მეგობარო! — დაიწყო ისევ შუახნის მამაკაცმა.

ვლასის თვალეზი გაუფართოვდა.

— თქვენ მე მეუბნებით? — იკითხა გაცეზულმა ჟურნალისტმა.

— დიახ, დიახ, თქვენ! ვითომ რატომ არ შეიძლება დაიწეროს ამ ახალგაზრდა მილიციელზე ნარკვევი? მითხარი, რატომ?

— კი, მაგრამ... — ჩამობრძანდით, ამხანაგო ვლასი, აი, უკვე მივედით მილიციის განყოფილებაში, თქვენ ხომ სწორედ იქა გავქვთ საქმე!

— კი, მაგრამ... — ვლასიმ მხოლოდ ახლა შეამჩნია, მილიციისთან რომ გაჩერებულიყო ტროლეიბუსი... და თუ ეს უცნობი ხანშესული მამაკაცი არა, ალბათ, ვაცდებოდა კიდეც მილიციას.

— მე გამომძიებელი ვახლაირთ, წამობრძანდით! თქვენ ნარკვევი გინდათ დაწეროთ, მე კი მოგცემთ თქვენ „სამსხვერპლოს“ — ახალგაზრდა რიგითი მილიციელს, დამიჯერეთ, ასე აჯობებს, მე თვითონ გამოვუძახებ შესაფერის კანდიდატურას, თქვენ კი მანამდე დაისვენეთ, დალილი ბრძანდებით, დილით ბაზარში იყავით და მეუღლესთან უსიამოვნებაც კი შეგხვდათ, აი, მანქანა რომ არ გაგყვიდათ, დროს უფრო მოიგებდით და ლურჯი ბადით ხელში აღარ მოგიწევდათ გაჩერებებთან დგომა. დარწმუნებული ვარ, სოხუმში რომ იყავით ამ ორი კვირის წინათ მივლინებით, ასეთ გაწამაწამაში არ იყავით!

— კი მაგრამ, ყველაფერი ეს საიდან იცით?

— იცითხა უსაზღვროდ გაცეზულმა ვლასიმ, — ალბათ, მიცნობთ, არა?

— პირველად გხვდავთ, მაგრამ რა არის აქ

საოცარი? თქვენ რომ ჟურნალისტი ხართ, ეს აი, გულზე რომ ნიშანი გაქვთ, იმით შეიძლება დავასკვნა. ერთი კვირის შემდეგ მილიციის დღეა, თქვენ სწორედ მილიციაში მიდიხართ, რა თქმა უნდა, დავალეხა გქონდათ, დაგეწერათ ნარკვევი, ხოლო მანქანა რომ გაყვიდათ იქიდან მივხვდი, რომ, როდესაც ტროლეიბუსს წინ რაიმე გადაუვლიდა, თქვენ ინსტიტუტურად ფეხს აჭერდით, ვითომდა მუხრუქს. ბაზარში რომ იყავით და ხელში ლურჯი ბადე გეჭირათ, ამას თქვენი შარვის მარჯვენა მხარე ადასტურებს, ხედავთ, როგორ არის ლურჯი ბამბის ძაფები შერჩენილი? ბაზარში ნაცნობი ქალი შეგხვდათ და მარცხენა ლოყაზე გაკოცათ, მომალა ჯერ კიდევ გატყვიათ, ხოლო სახლში რომ მიხვდით, თქვენმა მეუღლემ ეს შენიშნა და წალაპარაკებით, შემდეგ იერიშზეც გაგაწერათ კიდეც, არა, ეს სამართებლის ბრალი არ არის, თქვენ გუშინ გაიპარსეთ და ნაკაწრი კი სულ ახალია. ზღვაზე რომ იყავით ამაზე თქვენი ფერი მეტყველებს, თქვენ ხელში თქვენი ჟურნალის რამდენიმე ეგზემპლარი გეჭირავთ, მაგ ჟურნალს რამდენიმეს მხოლოდ ის კაცი იყოს, ვისზედაც რამეა დაწერილი, ანდა მისი დაწერილია. მე კარგად ვიცი, რომ მაგ ნომრის შინაარსს, ერთი წერილია სოხუმის რაიონის მკვიდრზე, რომლის ავტორია ვლასი წეროქე. ეს კი უკვე გამოცანა აღარაა.

ახლა კი ერთ რამეს გირჩევ: ჰონორარი რომ გერგება ოთხმოცი მანეთი, მეუღლეს ნუ ეტყვი, ორმოცდაათი მივიღეთ, მას ხომ მიხაკები უყვარს, მიუტანე, თან ყველაფერი აუხსენი, უთხარი როგორც იყო: უთხარი, რომ ის ქალი, რომელიც ბაზრის შესასვლელში შეგხვდა, შენი სკოლის მეგობარია, რომ მას თან ქმარი და 15 წლის ბიჭი ახლდა. თუ ჰონორარი არ იქნა, მაშინ თქვენს საქმეთა მმართველს გამოართვი ხვალამდე, ის ისეთი ქალია, რომ არ დაგიკავებს, შენი შვილებიც არ დაგაიწყებდეს, რამდენი ხანია ველოსიპედს ვთხოვს ბიჭი და პირდები. ისიც გაახარე, ზევ ხომ მისი დაბადების დღეა?

— ამხანაგო მაიორო! — შეაწყვეტინა საუბარი სერჟანტმა გამომძიებელმა, — სონა მკითხავი მოიყვანეს, თქვენ ველოდებოდით!

— ამხანაგო მაიორო, ნება მომეცით წავიდე, ნარკვევისათვის კანდიდატურა აღარაა საქირო!

— ახლა უკვე ხმამალა უპატაკა ვლასიმ.



ნება მომეცი, ამ ერთხელ მეც ვითხრა ჩემი სათქმელი, ერთხელ მეც ჩავანანგო შენი საგმირო საქმენი.

გაგაცნო გულის ნადები, თავის ასლით და დედანით, გადმოგცე ხალხის მადლობა პირად საქმეში შეტანით.

ნაკლთან ჰიდილში იზრდები, არც დადლა იცი, არც შიში, ასე ძლიერი მიტომ ხარ, ხალხთან ხარ მჭიდრო კავშირში.

შენ ბოროტს ებრძვი, სიკეთეს სიკეთით შეეცილები, დაგჭირდეს, ხალხის სამსახურს სიცოცხლით შეეწირები.

ამოღებული ხმალი ხარ, ცეცხლში ნაწრთობი, ნაღესი, ხარობდეს შენი „ხელკავი“ და მშობლიური „აღერსი“.

ოქტომბრის თანატოლი ხარ, ცხოვრებას მხარი აუბი, მტერზე გულდაგულ მიდიხარ, მხოლოდ პურ-მარილს გაურბი.

მთვრალი კი „გოყვარს“, თუ შეგხვდა გზად ვინმე „ჩაშლილ-ჩაფლული“, ეცემი, ხელში აიყვან და მიგყავს „გულში ჩაკრული“.

ხულიგანსა და ჩხუბისთავს, ქუჩას რომ იკლებს ქაქანით, ფეხით სიარულს არ ჰკადრებ, მიასრიალბე მანქანით.

ქორვაჭარს, თაღლითს, გარეწარს, უსაქმურს, გაიძვერასა ჯერ „დაპატოიებ“ და მერე „ავტოგრაფებს“ თხოვ ყველასა.

ვინ მოთვლის, რამდენს მოუჭერ — გზა — ბნელ საქმესთან გაცნობილს, რამდენს საგზური მიეცი ქვეყნად კაცური კაცობის.


რამდენი გააჯანსაღე „დასასვენებელ სახლებში“, რამდენი შემოგაციცინებს დღესაც მადლობით სახეში.

რამდენს კვლავ ფერი ეცვლება შენი შეხვედრა-ნახვითა, რამდენ ჯარიმებს არიგებ „სუვენიერების“ სახითა.

სადაც შენა ხარ, იქ ავი ვერასდროს მოიკალათებს, სიცოცხლე შეაქვს ოჯახში მაგ შენს „მოსაწვევ ბარათებს“.

შენ ბოროტს ებრძვი, სიკეთეს სიკეთით შეეცილები, დაგჭირდეს, ხალხის სამსახურს სიცოცხლით შეეწირები.

ჩვენი მცველი და ბურჯი ხარ, ჩვენი ფხიზელი თამადა, სულს და გულს გიძღვნი საჩუქრად, არ ჩავგვითვალო ქრთამადა!



— ნუ გეშინიათ, კალბატონო, ჩემი ცოლია; ეპვიანია, თორემ გული კეთილი აქვს!

ს ხ ვ ე რ ა გ ვ ე ლ ა მ რ ჩ ე ნ ი ა ...

— მილიციელი ჩვენი ოჯახიდან?! — აღფრთოვლით შინ.

ჩემმა ძმამ მტკიცე ნებისყოფა გამოამჟღავნა და თავისი გაიგანა — მილიციის სკოლაში მოეწყო.

სულ მალე ვიგრძენით ოჯახში ოპერატიული მუშაკის ფხიზელი თვალი. პირველი იერიში ბებიას დააგყვდა თავს:

— რას ჰგავს, მოქალაქევ, ეს?! — დაიქუხა გაგემ, — რას ჰგავს-მეთქი?!

შიშნაჯამი მოხუცი მუჭისგოლა გახდა: ჯერ იფიქრა, მეზუმრებაო შეილიშვილი, მაგრამ სამხრეთეობიანი კაცის თვალეში ნაპერწკლები რომ შენიშნა, შეძლებსდაგვარად გაიჭიმა:

— რა მოხდა, ბებია?..

— აქ არ არსებობენ ბებიები და შვილიშვილები. ეს ქურდობაა, მოქალაქევ, თაღლითობაა! — გაგე მრიცხველს მივარდა და იქიდან კინოფირის ნაგლეჯი ამოიღო.

— მაგისტრის გამხეთქე გული, ბიჭო? ეს ლენგა შენ არ ჩადე შარშან სოჩიკში?

გაგეს არაფერი უთქვამს, ამჯერად თვალე-ბი დააბრიალა მხოლოდ.

იმ დღიდან ჩვენს ოჯახში ერთბაშად აღმოიფხვრა წვრილმანი გადმონაშთები: ელექტროენერგის ქურდობა, ნაგვის სხვის გერი-ღორიასზე დაყრა, ეზოს ბაღში ნაძვის ხის მოჭრა და სხვა ასეთები.

გადიოდა დრო. სწავლობდა გაგე და ვიწვერთებოლით ჩვენც. ყველაზე მეტად ბებიას დაეგყო გარდაქმნა. ერთ მშვენიერ დღეს კი საიდანდაც უღვაშებგადარეხილი კაცის სურათი გამოქეჭა და კედელზე დაკიდა. კაცს წელზე ხისბუდიანი მაუზერი ეკიდა, სურათს კი წარწერა ამშვენებდა: „სახალხო მილიციელი ალისტრახო წინწავა“.

— აი, ვინ იყო ბაბუათქვენი! — ამაყად განაცხადა ბებიამ.

რა თქმა უნდა, ბებია ამით არ დაკმაყოფილდა და მალე სახალხო რაზმელის სამკერდე ნიშანიც გაინაღდა. დედაჩემმა არ შეიმჩნია, რომ შეშურდა დედამთილისა, მაგრამ დამსახურებული მასწავლებელი რომ მილიციის ბავშვთა ოთახის ინსტრუქტორად მოგვევლინა, ყველაფერი ნათელი გახდა. ბებიას და დედას ჩემი დაიკოც არ ჩამორჩა. მიაგოვა ტრესტი „შაქარფუნთუშა“, სადაც ისეთ გემრიელ ნამცხვარს აცხობდა, თითებს ჩაიკვნივდა კაცი, და მილიციის განყოფილებაში მდივან-მემანქანედ მოუწყო.

ბოლოს მამაჩემსაც სძლია ცთუნებამ: ვაგმანობა პროზაულ სამუშაოდ მოეჩვენა და რიგითი მილიციელობა ამჯობინა.

სახლში მარტოკა ვვანშობოდი. ოჯახის სხვა წევრები ოპერატიული სამუშაოებით იყვნენ დაკავებული. ერთადერთი იმედი ჩემი საცოლე იყო. იგი ხშირად დადიოდა ჩვენთან და სამოქალაქო აგმოსფეროს ჰქმნიდა. სხვა დროს სახლში სულ ოფიციალური საუბარი ისმოდა:

— გადაეცი უფროსს ჩემი პაგაკი? — ეკითხებოდა გაგე დას.

— დიას, ამხანაგო ლეიტენანტო!..

— კატეგორიულად მოვითხოვ იმ მოქალაქის სასტიკად დასჯას! — ჩაერეოდა ბებია, — ის რომ არ გამომგყვრომოდა, ამ კვარტალში არც ერთი ინციდენტი არ შექმნებოდა. წამაგებინა შეჯიბრება. აგრაფინა კურცხალიას ერთი შემთხვევაც არა აქვს.

დედაჩემი და მამაჩემი უფრო უხერხულად საუბრობდნენ:

— ამხანაგო რიგითო, მორიგეობიდან გამოივლით ბაზარში, იშოვით ახალ ხორცს, იყიდით მწვანის, ხილს! — ბრძანებდა დედაჩემი.

— მესმის, ამხანაგო უმცროსო ლეიტენანტო!

— მორჩილად პასუხობდა მამაჩემი, — თუ დრო დაგრჩეს, ჩემი საპარადო მუნდირია ამოსაკეხსი, ღილებსაც თუ გაწმენდ... ასე ვცხოვრობდით. ოჯახში ვერც მამწნევდნენ. როგორც ვთქვი, ჩემი ერთადერთი იმედი ჩემი საცოლე იყო და დაქორწინებას ვრქარობდი, მინდოდა ოჯახში ხმის გამცემი მანინც მყოლოდა, მაგრამ...

სახლში შუქი არ დამხვდა. კარები რომ შევალე, გაშის გრიალით შემომგებებნენ:

— შუქი! — დაიძახა გაგემ.

— სიურპრიზი მოგიწევთ! — თქვა მამამ.

— ქეთინო! — შევყვირე მე.

— არავითარი ქეთინო! — თვალები დამიბრიალა ბებიამ. — მილიციის ზემდგი ქეთევან წინწავა!

— ჯერ ხომ წინწავა არ ვარ. — დარცხვენით თქვა ქეთინომ.

— იქნები! — ერთბაშად გაამხნევებს დედამ და ჩემმა დაიკომ.

— ეს როგორ, ქეთინო? — სამხრებზე მივუთითე მე.

— ასრულდა ჩემი დიდი ხნის ოცნება! — პათეტიკურად წარმოთქვა ქეთინომ.

— მე, მე რაღა ვქნა, სალხო?


— სხვათა შორის, შენზე გუშინ ველაპარაკე უფროსს. ვუთხარი, რომ სპეციალობით ავგონიუნიერი ხარ...



ნ. ბ. ურბნაშვილი



ნ. ბ. ურბნაშვილი



ნ. ბ. ურბნაშვილი

საოცურესო მასალებიდან

შეჩვილი სიჩვილან...
ვეკითხვავა

„საღამო უგალონიეებს — მეტრამეებს, თალოთებს, სე-
კულტებს, ქურდებს და განსაკუთრებით, ხელაგებებს...
მას შემდეგ, რაც ბელგიელები შემოვიდნენ და ჩემს ლტქვემ
მიწას ციცილი წაუციდეს, დაწვერ-დადაგულმა უხელწეო-
ლოდ მივაბაბე ცოცხელი სული მანაბეციერს...
შე რომ აქეთ გადმოვბარდი, მეგონა, ყველა მაინკრებაც
თან ჩამოვიტანე, მაგრამ, შემშებვევით, თურქე რაღაც ბაცილა
დამბრჩენია მანდ და ზოგიერთს ჩემი სენი გასჩენია...
ჯოჯოხეთში, ჩვენთვის განკუთვნილ რეზიდენციებში, მოლიან
თითო-ორილა ასეთი ტიპები...
ვეკითხები:
— ბიუტო, შენც ხომ ჩვენი დროისა არა ხარ, აქ რამ მოვა-
შვავა!
— მე გადმონაშთი ვარ.
— რას ნიშნავს, ბიუტო, გადმონაშთი?
— რასა და, თქვენი პროფესიის მიმდევარს.
— რაღა ჩვენებს მისღველი, შე მამაძალო, სხვა ხელობა
კოტაა?
— თქვენი იოლო მეჩვენა.
ჩემს რეზიდენციებში ყველა ჯურის დამნაშავე ჩამოჰყავთ.
მაგონა ყველაზე ძალიან ხელაგებებს ვერ ვიტანი. ისინი არც
მეცრობენ უფრო, არც ცოცხლებს, იმ დღეს მიქელ-გაბრიელ-
მა ტანსაცმელ-ფულთილი და სახეჩასისსლიანგებოლი ერთი
ასეთი აფეია ჩამოთორია ჯოჯოხეთში. ფა, ისეთი დღე დადარია-
ლა... პირი რომ დალო, ზოზოლი სამი დღე, კუპრის ფელამუმი
ველარ ვემაბო, როცა გონს მოვიდოდი, დაულოწებოლე წარედ-
ღვინეთ პეტეცია მამაბეციერს, რომ ხელაგებისაგის ნადვის ყუ-
თში მივიჩნა ბინა. ნადავი, მოგესხენებო, ჩვენთანაც ბევირა.
მასლას! მე, როგორც სიკვდილის შემდეგ გამოსწორებულმა,
ერთი მუდრი ჩრევა მინდა მოვკეთე, ბიუტო! სეკრეტნად გეტყ-
ვი: ვისაც ძველი ხელობის გამოცეცა არ გინდათ, ახლავი აი-
კეთე გუდა-ნაბადი და ჩვენიან ჩამობრძინდით, თორემ, სულ
ერთია, ეგვნი არ გაგახარებენ! გელოთ მოუთმენლად! თქვენი
ბე დნი დ დილა“.

ქაიში შარბანიანი,
მელოცის ლიტენანტი

შალვა ვანიშვილი —

გორის რაიონილიციის უფროსის!

ჩემს კორესპონდენტს კრისტალურს,
კაცურ კაცს — შალვა ვანიშვილს —
აქვს უხილოესი გონება
და ენერჯია ქარიშხლის!
ერთს წუხილს და სიბრძნელს
სისახლი და ხორციელ ვანიცილის...
მამაა ოთხი შვილისა!
მადლობას ვუძღვი ამისთვის!

შეუპოვარია, სართალო,
უშინარი და ხალსია...
ასეთი გახლევი, ზოვად,
პირადი საქმე მალუსია.
წესრიგისა და კანონის
დაცვათთან არის შეზღუდული,
უკრის ქუჯა და კალაბი
შეზარად იცის შექსიარ...
506560

„გუს სიბრძნე“

ირევიან ერთმანეთში
მერცხლები და ლომები,
საზიარო გაუხდლიათ
დარდიც,
ლხინიც,
მომოხეცა...
ბუ მარტო ზის ტყემლის ტობზე,
ივალღეს უფროდ აბიოლღეს.
— გამო, ხალხში გაიკრიე,
მარტო რად ხარ, გემაცვალე?!
მოგწუნიდება,
დალონდები —
მას მერცხლებს უფროს მღერი.
— მე ბრძენი ვარ! —
ბუმ ბიუგო,
ხალხში ყოფნა არ შემდერის!
— ხალხი სიბრძნეს თუ არ შეცხენს,
არ წაიკრამღეს,
რატომ წუხარ? —
უოხრებს მაშინ, —
შენ ისა თქვი,
შნო რომ არ გეკვს
და რომ ბუ ხარ!

კოტე მულაშვილი,
მელოცის პოლიციეი.

არც ისე გზიარული ღიჯოვები

— შენ თუ მლიქვნელი არა ხარ, დილიდან საღამომდე რა გინ-
და დირექტორის კამბეტი?
— რაც კონდიციონერი დააყენეს, მის კამინეტში ყოფნას არა-
ღერი ჯობია.

— ალო! ალო! საწყობია?.. ვანი ხარ? რა ქენი, ბიუტო, იმან რომ
გოსხვა? ხომ მივეცი იმის იმას ის?
— ამანავო, თქვენ მილიციანი მოხდით!
— მამატილი, ბატონო, რამდენჯერაც ამ ოხერ საწყობთან მიქვს
საქმე, სულ მილიციანი ვხვდები.

— როგორ ფეტირო, ჩემი იპოლიტე, ვინ მოივებს დღეს?
— ვინც ლებინის ბილვის ნახევრი ფასში გაყიდოს!
— რეზიკო, კარაქიანი ბური შეგამე, თორემ მილიციელს დაუ-
ძახებს!
— მამა!.. დღე-არემი გვაჭერენებს!

— უფროსი, აი, იმ გარეწარმა ხელჩანთა გამომღეჯა, მიწ-
ველში
— დაშვდილით, დაბრძანდილი, დაწნარდილი!.. თქვენი გვარი,
სახელი, მამის სახელი!
— მიშველეთ, გარბის!
— რა გჭირდათ ჩანთში?
— ფული, ფული!
— ახლა პრბანეთ, რა გენბავთ?
— წყალი... წყალი!

— ზუსტად ასეთი კოსტუმი თბილისში 80 მანეთი ღირდა, სი-
ველიმ რამ გააძვირა?
— რა გაევირებს, კაცო, თუ თბილისელი ხარ, 80 მანეთად წა-
იღე!

— ეს... ჩემი ცილა, შენი რომ არ გუნება ქალს... ორიდღე
წელია, გვიან-გვიან მოვდილობ სახლში, ცოტა ნასვამი და არევის
გეგნებას... აი, ამიტომ გაემიყვარა ქმარი.
— ვუწუე შენ!
— ეს კედელ არაფერი, ერთად ცხოვრების პერიოდში 1000 მა-
ნეთი ვალა ვეიღე... თუ ქალი ხარ, მითხარა, ვინ უნდა გადაიხადოს
და რამდენი?
— რასაკვირველია, ქმარმა.
— რამდენი?
— 1200 მანეთი.
— 100 მანეთი რისთვის?
— დამატებით, სამადარინოდ.

ფოთა ბათიანაშვილი,
მელოცის პოლიციეი.



სუსტავილე



სუსტავილე



— ა, ბატონო, მთხვანათ ჩემი ხელი-
ბანი შვილი და ჩივარკოთ!

ნ. ბ. ურბნაშვილი



ბედნიერი შხვებარა



კაპიტან ბრანტის შვილები



რაც ბინახას, მუდარ ნახაბი



ბიძია თოხის კოხი



საქანსაწილი მასხარაღი




ის კვლავ დაბრუნდება



შეღრება

ქარაგი პიროუდგობიდან.




ნახ. მამია მალაზონისაბი

— მამიბე, გავშვის კლხრდელს მქებდით და მუახელით.



— ხომ გუბნებოდი, სმვარსკვლავიანი ღკბლუკავს-მითქი?!



— რას მინურულევი? — ჯი, ეს კხალგაზრდა ჯიბეში ხელს მიყოფს და ღიკიჩიო!

წახის დამრღვევ შოფერს ავტონისპექტორი და გული ერთად შემოეყრება ხოლმე, მაგრამ მგზავრსაც რომ შინებოდეს მისი, ეს აღარ გამიგონია. ქალაქ ორჯონიკიძის ტაქსის „ვოლგა“ № 04-09 სევე მგზავრებს ავტონისპექტორის საგუშაგოსთან მიახლოებისას ისეთი გულისფრიალი აუვარდებოდათ, თითქოს ბეწვის ხიდი ჰქონდათ გასაველი.

— ჰეი, შენ, შოფერ! — უკიჟინებდნენ ისინი მძლოლს, — თუნდაც კაცის ზურგზე მოგიხდეს გადავლა, არამცდარამც მანქანა არ გაუჩერო წითელქუდას. თბილისში რომ ჩაგფრინდებით, ყოველგვარ არასასიამოვნო მდგომარეობიდან გამოგიყვანო!

— მიცვალბულის მდგომარეობიდანაც, არა? — ვითომ ხუმრობით გამოსძახებდა მათ შიშით ყბამოქცეული შოფერი და მანქანას შურდულივით მიაქროლებდა ქართლის ტრასაზე.

ზაქსის საგუშაგოდანაც მისცეს გაჩერების ნიშანი თავაწყვეტილ მძლოლს, მაგრამ მგზავრებმა ახლაც ისე დაღუწეს მას ზურგზე ხელების ტყაპუნი, როგორც მეტრე დაუშენდა ცხენს მათრახს:

— გასწი, შე ვერანავ, გასწი! მიინც შეაჩერეს. დიღმის მასიგში ამოსდეს ლავამი აღვირახსნილ შოფერს.

— თქვენ რა, სიცოცხლე მოგბურდათ? თუ თავი არ გებრალბათ, მგზავრებს რატომ ღუბავთ!

ეს მგზავრები თვითონ მღუბავენო, უნდოდა ეთქვა მძლოლს, მაგრამ ვერ გაბედა.

— ჩვენი ბრალთა, ამხანაგო ინსპექტორო, ჩვენ ვაჩქარებდით, — მანქანიდან გადმოვიდა საპაერო ძალების სამხედრო ფორმაში გამოწყობილი მამაკაცი.

— ამხანაგო მფრინავო, ავტომანქანა თვითმფრინავი როდია!..

მერე ინსპექტორმა შეამჩნია, რომ მგზავრებს თანდათან ფერფერი მისდოდათ, ქურდს ქული ეწვისო, იეჭვებო გზის გუშაგმა და საბუთები მოთხოვა. საბუთები კი, იცოცხლე, ბლომად აღმოჩნდათ. სამი კაცი ზუთი პასპორტით იყო აღჭურვილი: გაურკვეველი პროფესიის მქონე თენგიზ ლაზარეს ძე ბერბერაშვილს დამატებით ელო გულის ჯიბეში მოსკოვის მცხოვრების, ვინმე ლუდვიგ მიხეილის ძე ვოსკოვიჩის პასპორტი, ამასთან 1.635 მანეთი, 20 ცალი საავტომობილო სატრანზიტო ბლანკი, შევსებული ოცივე ერთი ნომრით—6395, მოსკოვის ავტომობილის 5 ცალი შეუვსებელი ჩეკი-ბილეთი, ლენინგრადის ავტომობილის 5 ცალი შეუვსებელი ჩეკი-ბილეთი და იმავე ავტომობილის ერთი ასეთივე ჩეკი-ბილეთი. ასევე გაურკვეველი პროფესიის მქონე თბილისელ „მფრინავს“ — აშოტ ამაიკის ძე პეტროსიანს დამატებით აღმოჩნდა ვინმე მეხიკ სურენას ძე ხაჩატურიანის სახელზე გაცემული პასპორტი, მასვე აღმოჩნდა ამ პასპორტით შევსებული პიატიგორსკის შემნახველი სალაროს წიგნაკი 5.100 მანეთის რაოდენობით და ნაღდი ფული 5.800 მანეთი. მესამე მგზავრი ქუთაისელი უსაქმური მიხეილ იოსების ძე სეფიაშვილი აღმოჩნდა.

— ვინა ხართ, ნამდვილად რა გვარები ხართ? — შესძახა მათ გაცემულმა გზის გუშაგმა.

— ეგ საბუთები თუ არ გავმაყოფილებთ, ბატონო, შეგვიძლია უფრო გავლენიანი საბუთები გიბოძოთ, — უბასუხეს მათ და ავტონისპექტორს 8.000 მანეთი შეთავაზეს.

— ეს კი ჩინებული „საბუთია“ თქვენი ვინაზბის დასადგენად... და, ამჯერად, თვით „წითელქუდამ“ წააცუნველა მგლის ქურქში გახვეული მგზავრები. გაბოროტებული სამეული ახლა მძლოლს ეცა:

— შე ოჯახდაქცეულო, ხომ გეუბნებოდით, მანქანა არ გააჩერო-მეთქი! ამ ჩაგარდნას უფსკრულში ჩავარდნა არ ჯობდა? ამაზე დიდი ავარია რალა იქნებოდა?!

— მძღოლს!.. მძღოლს!.. მართლაც ქუჩაში გამოჩნდა თბილისის ოცდაექვსი კომისრის რაიონის დასუფთავების კანტორის მანქანა ზილ-164. ღიახს, ნამდვილად ის იყო. ნომერი 81-77 ნიკაპზე კიკინა წვერივით ჰქონდა მიკრული, სერია გრკ კი მმარის ბეჭდივით ჰქონდა გვერდზე მინატული. მძლოლსაც, მისეილ დემეტრე აშვილს, ქოჩორიც იგივე ჰქონდა და სიფათიც.


— მიხა!.. მიხა... — ერთი კი შესძახეს ნავის ვედროებით ხელდამშვენილებმა, მაგრამ, როგორც მოჩვენებასავით გამოჩნდა, ასევე მოჩვენებასავით გაქტრა ავტომანქანა. ვიდაც ამბობდა, თბილისში მანქანა ვედროვით ნავის ნაცვლად მარაზყო, მაგრამ არ დაუჯერეს, ნავი და პამიდორი როგორ ვერ უნდა გაარჩიო ერთმანეთისგანო.

იქნებ, არც ჩვენ დავგვერებიანა, რომ სახელმწიფო ავტონისპექციის საშუაობრო ქვედანაყოფების მცხეთის ცალკეული ოცეულის ავტონისპექტორებს არ დაედასტურებინათ ლაგოფიში გაპარული პამიდორით დატვირთული ნავის მანქანის ქ. ორჯონიკიძეში გაპარვის სურვილი. სად ნავი და სად პამიდორი იტყვიო!.. ასე კია და...

მსოფლიო რაინდთა გეოგრაფიკი დონკიხოტ ლამანჩელი, ფათეჩაჰების ძებნისას, ხშირად როსინანტს ანდობდა გზის გაგვლევას და ისიც, თავაქინდრულ და ქვირქვირამოგდებული, დაუზარებლად მიჰყვებოდა თავაზუნელადებული პატრონის საბრძოლო თავგადასავლებით მდიდარ გზას. ასევე თავის მანქანა ზილ 130-ს (გრკ 55-60) ანლო მარშრუტის შერჩევა თრიალეთის გეოლოგიური პარტიის ავტომძღოლმა — ივანე ელოშვილმა და მანაც არც აცივა, არც აცვალა, ზურგზე, მინერალბის ნიმუშების ნაცვლად, შეიღო ტონა მანდარინი მოიგდო და, თიანეთის ნაცვლად, საქართველოს სამხედრო გზაზე ამოყო თავი... მასავით აერია ჟამკარი ბათუმის თევზის სარეწი კოლმეურნეობის ავტომანქანა გავ 53-ს (გრპ 66-99), ძარაზე ოთხი ტონა მანდარინი მოიკიდა, რუსეთის გზას დაადგა და თავისი მძლოლი — არამიაიზ — უაქარიანი მწიფე წიწკასავით გააწითლა... სამტრედიის სოფლტექნიკის № 3 ავტოსატრანსპორტო კანტორის მანქანა კავ 608-ა (გრლ 36-20) უფრო დიდი მადისა აღმოჩნდა: 10 ტონა მანდარინის ყუთები მხრებზე დაილაგა და ასე, ნარინჯ-თურინჯით დამშვენიებული, გაუყვა არაგვის ხეობას. ამბობენ, თავის როსინანტზე გადამჯდარი მძლოლი გიორგი ბახტაძე, ავტონისპექტორების გამოჩენამდე, „ბიჭო, ნარინჯიანს“ ღიღინებდაო, მაგრამ ეს არ არის სწორი. იგი „ტილო ღარიალას“ სიმღერით იყო გაართული და სხვა სიმღერა არც გახსენებია... ჭორხის ინერტული მასალების ქარხნის მანქანა გავ 51-ს (გრტ 36-41), მოგზურდა ინერტული მასალების ზიდვა და, ხრეშის ნაცვლად, 5 ტონა მანდარინით დიტივრთა ზურგი. მართალია, მძლოლი ზაიდლონიძე უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, მაგრამ, რას ეზამთ, ზოგჯერ ასეც ხდება ხოლმე! ასევე საქვეყნოდ შეარჩინა თავისი ავტომძღოლი ვასილ ალანია ფოთის გემთსარემონტო ქარხნის ავტომანქანა „შკოდა“ (გრმ 82-97). არც კი ღარდა 10 ტონა მანდარინისათვის თავის შერცხვენა!

ნავაპი და კამიდორი

იღ გენე და ელოდნენ. ამოიყო მათი მოლოდინი: არც შორეული ზარის წკარუნის ისმობდა და არც კიდევ ახლოებული ვედროების ხმაური. სისხამზე გამოსულმა მეზობლებმა ერთმანეთი მიიკითხ-მიიკითხეს, აქეთურიც თქვეს და იქითურიც, მაგრამ არ დაადგა საშველი, არსად ჩანდა ნავის მანქანა. ზოგმა ხელი ჩაიკნია, ზოგმა ისევ ოჯახს დაუბრუნა ოჯახიდან გამოტანილი ნავაპი და... სწორედ ამ დროს ტყვიასავით გაჯარდა ეზოში ღილაკის ხმა: — მოდის!.. მოდის!.. მართლაც ქუჩაში გამოჩნდა თბილისის ოცდაექვსი კომისრის რაიონის დასუფთავების კანტორის მანქანა ზილ-164. ღიახს, ნამდვილად ის იყო. ნომერი 81-77 ნიკაპზე კიკინა წვერივით ჰქონდა მიკრული, სერია გრკ კი მმარის ბეჭდივით ჰქონდა გვერდზე მინატული. მძლოლსაც, მისეილ დემეტრე აშვილს, ქოჩორიც იგივე ჰქონდა და სიფათიც. — მიხა!.. მიხა... — ერთი კი შესძახეს ნავის ვედროებით ხელდამშვენილებმა, მაგრამ, როგორც მოჩვენებასავით გამოჩნდა, ასევე მოჩვენებასავით გაქტრა ავტომანქანა. ვიდაც ამბობდა, თბილისში მანქანა ვედროვით ნავის ნაცვლად მარაზყო, მაგრამ არ დაუჯერეს, ნავი და პამიდორი როგორ ვერ უნდა გაარჩიო ერთმანეთისგანო. იქნებ, არც ჩვენ დავგვერებიანა, რომ სახელმწიფო ავტონისპექციის საშუაობრო ქვედანაყოფების მცხეთის ცალკეული ოცეულის ავტონისპექტორებს არ დაედასტურებინათ ლაგოფიში გაპარული პამიდორით დატვირთული ნავის მანქანის ქ. ორჯონიკიძეში გაპარვის სურვილი. სად ნავი და სად პამიდორი იტყვიო!.. ასე კია და...



— მაგის იღბალი, რომ მოგვისწარით, თორემ გავხმეთკავ-
ლი ცხვით!

ნახევრები კომინაბოკის შიკრიბიან

„რა მინდა ამ საპროექტოში? ეგ ჩემი საქმე არაა! სულ ხელფასზე ხომ არ ვიჭვლები?“
 „პატარა საქმე გამოჩნდა. ყველაფერი პატაროდან იწყება. განსვენებული მამაჩემი ამბობდა: საქმეს მოკიდე, შვილო, ხელი, საქმესო!“
 „ვინ გავიყვანო საქმეში?... გალიაშვილი გამოცდილი კაცია. მართალია, ცოტა მშიშარაა, მაგრამ არა უშავს, ფრთხილად იქნება. ჯალიაშვილი ნიჭიერი კაცია, თან ფული აქვს, საქმეში ჩაუღვებთ. მომმარაგებლად გამოცდილი კაცი გეინდა... ავსარქისოვი? გამოცდილი კაცია, ყველა გასაძრომ-გამოსაძრომი იცის, ნემსის ყუნწში გაძვრება, თან სანდოა. სამი კაცი კმარა: გალიაშვილი, ჯალიაშვილი და ავსარქისოვი...“

„ავსარქისოვი, ალბათ, ხვალ ჩამოვა. თუ მასალა ჩამოიტანა, ხუთი თვე საქმეს წყალი არ გაუვა. ეგ ისეთი კაცია, თავს მოიკლავს და იშოვის. ბაცაცაშვილი გამოცდილი კაცია. ათი წელი სავაჭრო ქსელში მუშაობს, დირექტორთანაც შეკრულია. რეალიზაციის საქმეც მოგვარდა...“

„ავსარქისოვიც ჩამოვიდა. დაიწყო... ხუთი ათასი შავი დღისთვის გადავდებ. რა იცი, კაცი ვართ... სხვები რომ უცებ დახარბდებიან ხოლმე, მე ასე არ ვარ. ეგაა, რომ ღუპავს კაცს. ჯერ საქმე!“

„თეთრი კარგი ფერია. შავს ვერ ვიტან. ვის სახელზე გავაფორმო „ვოლგა“?... სიდდერი სანდო არაა. ამბერკის სახელზე გავაფორმებ. რაც არ უნდა იყოს, მამიდაშვილია...“

„ვაჟე კარგი უბანია. საბურთალოს ვერ ვიტან. ბინას ცოლის სახელზე გავაფორმებ... ყველაფერი პატაროდან იწყება. ასეთია ცხოვრება... რა მინდოდა ამ საპროექტოში, ხუთი წელი ტყუილად ვისწავლე?... ჯერ საქმე, როგორც განსვენებული მამაჩემი ამბობდა.“

„წყნეთი კარგია, მაგრამ მალაია, წნევიანი კაცისთვის არ ვარგა. მე თუ ვერ ვისარგებლე, რად მინდა ასეთი აგარაკი?... მცხეთა კარგია, დაბლაა, თან ახლოა. პატარა ვენახიც მექნება, ღვინოს დავწურავ. აგარაკს სიდდერზე გავაფორმებ, ჯანდაბა მაგის თავს!...“


„... ავსარქისოვი სად დაიკარგა?... გამაგიჟებს ეს კაცი! დეპეშა მაინც გამოგზავნოს?!“

„... რაღაც ვერ ვიძინებ... ეს ცოლისძმაც რა საშინლად ხვრინავს... მთელ სახლში ისშის. მაგის ხვრინვა მინდა ახლა მე, ისედაც დაძაბული მაქვს ნერვები?... ცოტას გავივლი ეზოში, იქნებ მერე დამეძინოს... ქალაქში იხუთებიან სიციხით, აქ სიგრილეა... რა მშვენიერი მთვარეა... ავსარქისოვი გამაგიჟებს, დეპეშა მაინც მოეცა... წავალ, დავიძინებ, ხვალ მიძიმე დღე გვაქვს... ისევ ხვრინავს, ეს შობელქადალი!“

„... ამ გამომძიებელს ისეთი თვალეები აქვს, ნაღდად ყველაფერი იცის... არა, ამასთან არაფერი არ გავა!“

„... რა პატარა ოთახია. ყველაფერი პატაროდან იწყება. რა გაძლებს აქ?... რა მშვენიერი მთვარეა... ცოტა დიდი ვერ გააკეთეს ფანჯარა, მთელ მთვარეს მაინც დავინახავდი... მაინც, რა არის ჩვენი ცხოვრება?... საინტერესოა, სად არის ავსარქისოვი?..“

სიმონ ჯაფარიძე



— ახლა მაგი მისაღები გამოსცდებისათვის ეგზალტაცია და პირველ ავსიტომოფე არ გავაპატარავს!

სტარტი და ფინიში

მიმდინარე წლის პირველ მაისს განსაკუთრებული საზეიმო განწყობილება სუფევდა დაბა ბიჭვინთაში...
 ზეიმობდა ხალხი, ზეიმობდა ბუნება. სამოცდაათ წელს მიღწეულმა პენსიონერმა გრიგოლ სიმონის ძე ტერენტიევმა მორტოციკლით მოისურვა გასეირნება ბიჭვინთის გზატკეცილზე.
 გზაზე მას თავისი ძმაცკები მოაგონდა და იქვე, მერძევება-მე-ბოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში, შეუხვია... გაიშალა პურ-მარილი, გაჩაღდა საღვებრძოლები...
 იცლებოდა ზედიზედ სასმისები...
 დღის 17 საათამდე გაგრძელდა ლხინი და ღრეობა...
 ბახუსის ძალამ თავისი მოქმედების ზენიტს მიაღწია. ტერენტიევმა უკანასკნელი სასმისი გამოსცალა და „დრიბლინგით“ მივიდა მორტოციკლამდე, მაგრამ „გასაღებდაკარგულმა“ მართვა რომ ვერ მოახერხა, იქვე მდგომ მეთევქასელ ვიქტორ პანტელის ძე ხუდევეს თხოვა სახლში წაყვანა...
 ხუდევემა არც მორტოციკლეთის ხეირიანი მართვა იცოდა და არც სათანადო საბუთი გააჩნდა, მაგრამ უფროს ადამიანს, და ისიც ნასვამს, უარი ვერ უთხრა და გაბედა...
 „მორტოკროსლეტმა“ „სტარტი“ საბჭოთა მეურნეობაში აიღეს. „ფინიში“ ტერენტიევს საავადმყოფოში მოუწია, ხოლო ხუდევეს — მილიციის განყოფილებაში.

სერგო აბაიშვილი

ქვემოთაღი
გეოგრაფიული
საბჭოთა

მთავარი რედაქტორი
ნოდარ ღუმუაძე

სარედაქციო კოლეგია:
ზ. გოლჭვაძე
 (პ/მზ. მდინავანი),
ს. კლდიაშვილი,
ნ. მალაზონია,
ბ. ნიშნიანიძე
 (მთავ. რედ. მოვალეობა),
ნ. შველიძე,
ო. შვილიძე.

საბირისა და იუმორის
 შუროალი „ნიანგი“.

თბილისი, რუსთაველი:
 პროსპექტი № 42.
 Тбилиси, Сатирико-
 юмористический
 журнал «Нянгы».
 შპს რედაქტორის
 99-76-69, რედ. მოვალეობის
 93-49-32.
 საერთო განყოფილების
 93-10-78.

საქ. კვ ცკ-ის გამომცემ-
 ლობა. ИЗДАТЕЛЬСТВО
 ЦК КП ГРУЗИИ.

გადაცემა ასაქრობად
 25 VI/-71 წ.
 ხელმოწერილია დასა-
 ბეობად 15/VII-71 წ.
 ძალადის ზომა
 70x108 1/8.
 ფინიშიური ნაბეჭდი ფურ-
 ცელი 1,
 სააღრიცხვო-საბამომცემ-
 გლო თაბანი 1,4.
 საქ. კვ ცკ-ის გამომცემ-
 ლობის სტამბა,
 თბილისი, ლენინის ქ.
 № 14.

ТИПОГРАФИЯ ИЗД.-ВА
 ЦК КП ГРУЗИИ
 ТБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИ-
 НА № 14

შეგვ. № 2341.
 ში № 03837.
 ბირაჟი 128,650.

საბჭოთა კავშირის
 გეოგრაფიული
 საბჭოთა

473
 2.VIII

1971

ნიანგის უნივერსი
 • უმცირესი
 ნიანი ფაკულტეტი

7637
 ინტელ
 კონსტრუქციის
 ინსტიტუტი



ბასიუს კლეის ერთ-ერთ ბრძოლაზე
 დამსწრე 100 კაცმა, კრივის შემდეგ გა-
 მართულ საგანგებო ბანკეტზე, მიწვევა
 მიიღო. სტუმრებს კარებში კეთილშობი-
 ლი ლედი მიეგება, შიგნით კი... ნილაბ-
 აფარებული განგსტერები იდგნენ.
 როგორც ამბობენ, განგსტერებმა იმ
 ღამეს 100.000 დოლარის ნივთები და
 დიდძალი ფული გაიტაცეს. დაზარალე-
 ბულთა შორის ნიუ-იორკის პოლიციის
 გაკოჭილი მოხელეც აღმოჩნდა...



როდესაც ქ. ტაურში (ტეხასის შტა-
 ტი) შერიფს აცნობეს, ახალგაზრდა, ქე-
 რათმიანმა ქალიშვილმა ბანკი გაძარცვაო,
 შერიფ ლონგმა ისლა მოახერხა, რომ
 15.000 დოლარად საკუთარი განგსტერი
 მეუღლე გამოისყიდა.



მოდასაყოლილმა ინგლისელმა პოლიციელმა ქალებმა სამუშაოზე შორტების
 ჩაცმის ნებართვა იფხოვეს. როგორც თვითონ ამტკიცებენ, ასეთი მოდა მეტად
 ეფექტურად მოქმედებს მამაკაც კოლეგებზე.

КОНТРОЛЬНЫЕ
 ЗАДАНИЯ